ევროპაში ეკონომიკური კრიზისის აჩრდილი დადის

ევროპულ ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლები ევროპული მენტალიტერტის მქონედ საბერძნეთი ითვლება. აქაც ჩვენსავით აღელვებთ საკუთარი პატრიოტიზმი და ეროვნული სული და ამიტომაც ხშირად საყვედურეობენ ხოლმე. და მაინც, ფაქტია: მრავალჭირვარამგამოვლილმა ქვეყანამ საკუთარი ეროვნული სული ღირსეულად შეინარჩუნა და აქამდე მოიტანა ისე, რომ ყბადაღებული „ეკონომიკური კრიზისის“ მიუხედავად, აქვთ ძნელადმისაღწევი კეთილდღეობა და ბევრ ევროპულ ქვეყანაზე უკეთაც ცხოვრობენ. რის მიზეზად ის სახელდება, რომ მათი პოლიტიკური მომზადების დონე მაღალია და სწორედ ამით იბრძვიან საკუთარი უფლებებისთვის, იციან რა ეკუთვნით და ეკონომიკური სადავეები მთლიანად ხელისუფლების საკეთილდღეოდ როდი აქვთ მიშვებული.

და მაინც, საშუალო ფენა აქ სიღარიბისკენ მიექანება, მაგრამ იმ სიღარიბეზე არ არის ლაპარაკი, რომელიც ჩვენ გვაქვს სულიერი და მატერიალური, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ არის წახალისებული. რომლისგან განსხვავებით საბერძნეთის ხელიც მოჰყვა შვეიცარიის ბანკებიდან მეანაბრეთა გვარების მოპარული სიის გამოქვეყნებას, რომელშიც ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან უამრავი მდიდარი და ცნობილი პოლიტიკოსი ფიგურირებს და რომელთა შორის საკმაოდ ბევრი საბერძნეთის მოქალაქეა, რომლებიც უკანონო შემოსავლებით და გადასახადების დამალვით გამდიდრდნენ, ხოლო შვეიცარიის ბანკებში საკუთარი ანაბრები საიმედოდ და საიდუმლოდ დაცული ეგულებოდათ. საქმეს ჯერაც იძიებენ, თუმცა, არც ეს უნდა ყოფილიყო შემთხვევით, რადგან ცბიერად დაგებულ ხაფანგს უფრო ჰგავს, რომლითაც მდიდრების „კედელთან“ მიყენებას და სათანადოდ დასასჯელად გამოიყენებენ, რადგან ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად „თითს არ ატოკებენ“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სიების გამომქვეყნებელი მანამდეც მოინახებოდა.

ბისაა და ასე შემდეგ.

ამ კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში კანონიერად ნეტავი რისთვის, ვისი სახელის მიკუთვნება შეიძლება? და არ შეიძლება მძიმედ შეურაცხყოფილად

ამყოფოს უფალმა ბატონ ბადრი პატარკაციშვილი, მათი განკურნების საქმეს უანგაროდ რომ უძღვნიდა საჭირო თანხებს და გულის სითბოს. ჩვენი სულიერად ღარიბი „მდიდრების“ გამო ეს საქმე დღეს

უკვე ისე ექნებოდათ, ტყუილს არა თუ ვერ გაუბედავდნენ, ვერც აკადრებდნენ.

ამბობენ, როცა უარესად გაფუჭება შეუძლებელია, უკეთესობა იწყებაო და ასეა მთელ მსოფლიოში, ჩვენ გა-

ლისუფლებას ადგილობრივთა პრობლემები საგონებელში აგდებს და აშინებს, რადგან პოლიტიკური მოძრაობა აქ ანგარიშგასაწევი ძალაა და არა ვინმეს მიერ საგანგებოდ საკუთარი აღზევებისთვის მოწყობილი ფარსი.

თავად განსაჯეთ, ხომ „თავის ტკივილად“ ექცა მთავრობას ეკონომიკური სიღატაკე საკუთარ ქვეყანაში, რომ დღე და ღამე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) იმაზე ფიქრში არიან, როგორ დააღწიონ თავი. ერთხელ მიღწეულის შესანარჩუნებლად გარანტიები ხომ არ არსებობს. კვიპროსის ბანკებში კი რუსების მიერ გათეთრებული ფულების შესახებ ინფორმაცია „გასკდა“ და ოფიციალური ინფორმაციით, მათ აქ მილიარდები დაკარგეს. ჯერაც დაუდგენელი და დაუსრულებელია ყბადაღებული სკანდალი ევროპაში, რომელ-

და შედეგად, რაც ზოგადად მოსახლეობისთვის არსებობს საბერძნეთში ყველაფერი მხოლოდ ქველმოქმედების შედეგია. საავადმყოფოების უმეტესობა, საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები, თეატრები, კულტურის სფეროს ყველა სახეობა დარბაზები, თუ სამუსიკო სასწავლებლები, სკოლები... მოკლედ ამდენი სიკეთე, მთლად „კეთილი ნების“ გამოვლენა შეიძლება არ არის და ცოტა „წაბიძგებაც“ დასჭირდათ, მაგრამ ფაქტია, ყოველი მათგანი მეცენატების სახელს ატარებს, რომელებსაც მათი არსებობა უკავშირდება. მაგალითად სამშობიარო სახლი „ელენი“, პრემიერმინისტრ ვენიზელისის მეუღლის სახელს ატარებს, მუზეუმი ბენაკის სახელო-

მედ შეურაცხყოფილად არ იგრძნო თავი იმის გამო, რომ არ შეგიძლია დაეხმარო, ხოლო ვისაც შეუძლია, გულქვაობით არის ღვთისგან დასჯილი და თუ რამეს გაიმატებს, მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას, რათა ამით დაიცვას და ერთი თეთრი არ მოაკლდეს მის „ნაამაგარს“... ეს უკვე ქველმოქმედება არ არის, არც მოწყალებაა -- ყიდვაა მხოლოდ და გულწრფელ ქველმოქმედებას არ გაწევენ მუხლებზე დაჩოქილებიც რომ ვეხკვწებოდეთ. ან ხვეწნა რატომ უნდა სჭირდებოდეთ, თავად ხომ ჰყავთ შვილები, ღმერთმა ჯანმრთელად უმყოფოთ. როგორ შეუძლიათ არაფერი გააკეთონ ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის. ნათელში

რების“ გამო ეს საქმე დღეს უცხოელების სამადლო საქმედაა ქცეული და ამის შემყურეები ვიტანჯებით, რადგან უცრემლოდ ძნელი საყურებელია განწირული პატარებისთვის...

სულ გვაწუხებს შეკითხვა:

ყოველ არჩევნებზე რატომ არის ძნელი დასანახი და დაუჯერებელი ერთიდა იგივე თვალთმაქცობა, დაპირებები, რომ ქვეყანას ააშენებენ, მაშინ, როცა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ კი არ აშენებენ - ანგრევენ. ნუთუ, არ კმარა?

სხვა ნებისმიერ ქვეყანაში წლების განმავლობაში წინასაარჩენო ამდენი ტყული და ფუჭი დაპირებები არა თუ ეჭვს გააჩენდა პოლიტიკოსებისადმი, ისე აამხედრებდა, რომ მთელ ქონებას დააკარგვინებდნენ, რაც ამ გზით იშოვეს და „ყურები გამოქექილი“

მთელ მსოფლიოში, ჩვენ გამონაკლისები ვართ, უარესობის უამრავი ფორმა „გვეშოვება...

ჩვენს პატრიოტიზმსა და ეროვნულობაზე სპეკულირებით ცდილობენ უკვე ბლომად ნაშოვნის გადარჩენის გზების პოვნას, რაშიც საკმაოდ გაწაფულები არიან და სულ ტყუილად მივისწრაფვით უცხოეთისაკენ - ფარვანასავით დასაწვავად, პეპელა ფრთების გარეშე ხომ მატლია, აი, რად უნდა გვაქციონ იმ ფუჭი დაპირებებით, რომელიც მხოლოდ მათი პირადი სარგებლობისკენაა მიმართული, სწორედ ამითვის დადიან მოლაპარაკებებზე და ვითომ გეგმებისთვის, რომელიც არასდროს განხორციელდება, რადგან თავად ამ სიარულში მდიდრდებიან... ამასობაში კი ის, რაც არჩევნებამდე შესაძლებელი იყო, როგორც ყოველთვის... არჩევნების შემდეგ შეუძლებელი ხდება.

ეს თითქოს, ძალიან კარგად ვიცით და მაინც... მხარს ვუჭერთ სწორედ მას, ვისაც ყველაზე ნაკლებად უნდა ვუჭერდეთ... მხოლოდ იმიტომ ვხარჯავთ ძალას, ენერგიას და უკანასკნელ კაპიკებს, რომ ვიღაცამ იცხოვროს კარგად და უზრუნველად და არა ჩვენ, ვისაც უზრუნველად კი არა, საკუთარი შრომით გვსურს ცხოვრება.

ზორენა შენგელია,
ათენი, სპეციალურად
„საერთო გაზეთისთვის“